MIA 8 20 009157-2

14/07/2020

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო
კომისიის სხდომის ოქმი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
თია მელაძე - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორი.

სატენდერო კომისიის წევრები:
მაია მანგოშვილი - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;
აკაკი ხარებავა - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;
დავით სამთელაძე - სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;
სოფიკო ვაჩეიშვილი - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი;
თენგიზ ხანიაშვილი - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე;
რატი მემანიშვილი - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს ბაზრის შესწავლის, დაგეგმვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი;
ილია აფციაური - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს ხელშეკრულებების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:
გიორგი ჭანკოტაძე - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს ხელშეკრულებების უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
სატენდერო კომისიის წევრი, სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე - **გია გორგიაშვილი** დაგეგმილი შეხვედრების გამო არ ესწრებოდა სხდომას;
სატენდერო კომისიის წევრი, სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) ინსპექტირების და ფინანსური დარღვევების შემოწმების სამმართველოს ფინანსური დარღვევების შემოწმების სამსახურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი - **მა მუკა ხვედელიძე** შვებულებაში ყოფნის გამო არ ესწრებოდა სხდომას.

დღის წესრიგი
შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ჰაბიტოსკოპიური სისტემის "POLYFACE"-ის პროგრამული უზრუნველყოფის არსებული ვერსიის განახლების (CPV-48600000) **შესყიდვის მიზნით** 2020 წლის 29 ივნისს გამოცხადებულ

ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) (სატენდერო განცხადება: **NAT200009157)** მონაწილე პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადების შერჩევა/შეფასება.

სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის წევრებმა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად განაცხადეს, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმდინარე ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთან, რაც წერილობით დასტურდება წინამდებარე ოქმზე ხელმოწერით.

მოისმინეს:
სატენდერო კომისიის წევრები გაეცნენ ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) შედეგებს, რომლის თანახმადაც, აღნიშნულ ტენდერზე სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „მაი მობაილ +“-მა ღირებულებით **146856** ლარი.

განიხილეს:
„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიამ განიხილა შპს „მაი მობაილ +“-ის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება. განხილვის შედეგად სატენდერო კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილია **146856** ლარის ამსახველი ფასების ცხრილი (დანართი N1), რომელიც შეესაბამება პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასს და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:
1. შპს „მაი მობაილ +“-ის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება, სრულად შეესაბამება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.
2. შპს „მაი მობაილ +“-სთან გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, არანაკლებ 4 (ოთხი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.
3. შპს „მაი მობაილ +“-ის მიერ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტის საფუძველზე მოხდეს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
4. აღნიშნული გადაწყვეტილება ჩაითვალოს პრეტენდენტისათვის შეტყობინებად და პრეტენდენტს შეტყობინება გაეგზავნოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში ატვირთვის გზით. შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.
5. სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ვადების ათვლა იწყება მიმდინარე სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში ატვირთვის მომდევნო დღიდან.
6. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

7. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 08 თებერვლის N1 ბრძანებით დადგენილი წესის მიხედვით, ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში არსებული სისტემური ღილაკის მეშვეობით (https://tenders.procurement.gov.ge).

ლოჯისტიკის დეპარტამენტის
დირექტორის მოადგილე
დავით სამთელაძე

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
მანგოშვილი მაია

დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
ხარებავა აკაკი

ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ვაჩეიშვილი სოფიკო

ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო
შესყიდვების სამმართველო
სამმართველოს უფროსის მოადგილე
ხანიაშვილი თენგიზ

თ. ხანიაშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო
შესყიდვების სამმართველო / ბაზრის შესწავლის,
დაგეგმვისა და ანგარიშგების განყოფილება
განყოფილების უფროსი
მემანიშვილი რატი

ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო
შესყიდვების სამმართველო /
ხელშეკრულებების უზრუნველყოფის
განყოფილება
განყოფილების უფროსი
აფციაური ილია

ეკონომიკური დეპარტამენტი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო
ხელშეკრულებების უზრუნველყოფის განყოფილება
მთავარი სპეციალისტი
ჭანკოტაძე გიორგი

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის დირექტორი
მელაძე თია